პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 60 (10757) | სამშაბათი, 12 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

მკვეთრად გავაღიზღოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება

გასულ წელს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამინდის განსაკუთრებით მძიმე პირობების მიუხედავად, საქართველომ 1956 წელს გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის, მარცვლეულის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, მატყლის დამზადების გეგმები. შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმა, აგრეთვე წველადობის გეგმა, ამაღლდა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. განუხრელად უმჯობესდება სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ეს წარმატებანი სოფლის მეურნეობის მუშაკთა გმირული შრომითი ღონისძიებების, ჩვენი რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და ყოველდღიური დახმარების შედეგია.

მაგრამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ბევრი სერიოზული ნაკლია. საქართველოში საზოგადოებრივი მეცხოველეობა ნელა ვითარდება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ხორცისა და რძის წარმოების გადიდების საქმე.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში იბეჭდება მასალები საქართველოში წველადობის მდგომარეობის შესახებ. როგორც გამოქვეყნებული ცნობიდან ჩანს, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში წველადობის მხრივ ცუდი მდგომარეობაა. ახალი სამეურნეო წლის ხუთთვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დაუშვეს წველადობის შემცირება და, თუ ახლავე არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები, წლიური დავალების შესრულებას საფრთხე მოელის. სოფლის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანაა მთელი ძალები დარაზმონ წველადობაში მკვეთრი გარდატეხის მისაღწევად, წველადობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არასაკმაოდ ბრის გამოყენებული შინაგანი რეზერვები ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად.

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დიდი პასუხსაგები ამოცანებია დასახული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. ამ ამოცანებზე ლაპარაკია სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვაში, რომელიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა. თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ყველა მუშაკს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1957 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. თათბირის მიმართვაში ნათქვამია: „ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული მუდამ უნდა ხვდებოდეს უაღრესად აქტიურ მხარდაჭერას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არა მარტო მოწინავეები, არამედ მთლიანად კოლმეურნეობები, რაიონები აღწევდნენ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს და ამ ხაფუძველზე მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები... განვაგრძობთ რა შეჯიბრებას მოძმე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, ჩვენ, რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, ძალებს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, 1957 წელი გავხადოთ გარდატეხის წელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში“.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ეს პატრიოტული მოწოდება, რომელიც გამსჭვალულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების სულისკვეთებით, უეჭველია მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს ყველა მშრომელის გულში.

ეს მიმართვა დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა იგი ღრმად უნდა გააცნონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს და სოფლად მომუშავე ყველა ადამიანს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სოციალისტური სოფლის მუშაკები ამ მიმართვას უპასუხებენ ახალ ვალდებულებათა აღებით. შეჯიბრების დამატებითი ვალდებულებები კონკრეტული უნდა იყოს. ვალდებულებათა აღება საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია მოვაწყოთ ბრძოლა მათ შესასრულებლად. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ შეჯიბრებას და მით მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

ჩვენს რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის შესანიშნავი ნოვატორები ჰყავს. მათი ნაყოფიერი მუშაობა აღინიშნა რესპუბლიკურ თათბირზე. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების ხელმძღვანელთა საპატიო ამოცანაა სოციალისტური შეჯიბრების პროცესში გამოავლინონ მოწინავენი — უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის ოსტატები, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მათი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, მოაწყონ ძვირფასი გამოცდილების მასობრივად დანერგვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილება ჩვენი სიმდიდრეა და მისი გავრცელება, ყველას კუთვნილებად გახდომა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

მიმდინარე წლის მაღალი მოსავლის ბედი ახლა წყდება. გაჩაღდა გადამწყვეტი შეტევა უხვი მოსავლისათვის — დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები მინდვრებსა და პლანტაციებში. პირველი დღეები მოწმობენ, რომ ზოგან არ აფასებენ თესვის საუკეთესო ვადებში ჩატარების უდიდეს მნიშვნელობას. ამ დღეებში „კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ ქარელისა და მახარაძის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი. „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება, რომ დუშეთის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისას არღვევენ მოწინავე აგროტექნიკის წესებს. ზოგან ტექნიკის გამოყენებასაც არ ექცევა ყურადღება. ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის მინდვრებზე ტრაქტორები პირველი კვალის გაყვანისთანავე გაჩერდნენ.

სოფლის მშრომელთა ღვიძლი საქმეა გამოასწორონ ნაკლოვანებანი მინდვრის სამუშაოებში, უზრუნველყონ ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენება, მტკიცედ დაიცვან აგროწესები. გვახსოვდეს ხალხური სიბრძნე — „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“.

1957 წელი გავხადოთ გარდატეხის წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში, ღირსეულად აღვნიშნოთ პრაქტიკული დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მივცეთ საყვარელ სამშობლოს, — ასეთია საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არქიტექტურის დოქტორის, პროფესორ ვ. დ. კოკორინისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთავთან და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მიენიჭოს არქიტექტურის დოქტორს, პროფესორ ვიქტორ დიმიტრის-ძე კოკორინს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

საქართველოს კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას

მეჩაიეთა პასუხი

მახარაძე. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვამ. რაიონის ასობით აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე გულდასმით აცნობს მიმართვის შინაარსს მინდვრად და პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნეებს, მექანიზატორებს.

სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. გორდელაძემ მიმართვის გაცნობისას განაცხადა:

— რაიონის მეჩაიეებმა წელს ჩვენს სამშობლოს 24 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა ჩააბარონ. ამ დავალების შესრულებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი მეჩაიეებიც. კოლმეურნეობის ვალდებულებები ასეთია: 254 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სამშობლოს ჩააბაროს სულ 800 ათასი კილოგრამი ჩაი, ესე იგი 30 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. ბრიგადამ, რომელსაც დ. ჩხეტიანი ხელმძღვანელობს, იკისრა 28 ჰექტარი პლანტაციიდან ჩააბაროს 75 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის წევრები პირობას იძლევიან 190 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 20 ცენტნერი სიმინდი. თვითეული ცენტნერი სიმინდის დამზადებაზე შრომითი დანახარჯი შეამცირონ 6 პროცენტით.

მიმართვას ფართოდ გამოეხმაურნენ აგრეთვე სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის, სილაურის გენიჩესკის სახელობის, გურიანთის მახარაძის სახელობის, ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელები.

ვამრავლოთ საკოლმეურნეო დოვლათი

ქარელი. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მუშაკებმა რაიონულ თათბირზე განიხილეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მუშაკთა მიმართვა მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის შესახებ. ქარელელები მოწონებით შეხვდნენ მიმართვას, ჩაებნენ შეჯიბრებაში და თავის მხრივ იკისრეს ახალი ვალდებულებანი: მარცვლეული კულტურების 18 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 12 ცენტნერი მოსავალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა, მათ შორის ხორბალი 10 ცენტნერი ნაცვლად 9,5 ცენტნერისა, სიმინდი — 14 ცენტნერი ნაცვლად 12,5 ცენტნერისა.

სიმინდს გეგმის გადამეტებით დათესავენ 500 ჰექტარზე, კვადრატულ-ბუდობრივად — 1.200 ჰექტარზე მთლიანად დაყალიბებული თესლით.

მიმდინარე წლის 10 აპრილამდე დაამთავრებენ შაქრის ჭარხლის თესვას 1.150 ჰექტარზე მთლიანად მზრალად მოხნულ ნიადაგში. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღებენ 300 ცენტნერ ჭარხალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 270 ცენტნერისა.

ხეხილის ახალ ბაღებს გააშენებენ 140 ჰექტარზე, აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარებენ ყველა სამუშაოს ბაღებსა და ვენახებში და მიაღწევენ იმას, რომ კოლმეურნეობებში მსხმოიარე ხეხილის ბაღების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ საშუალოდ 40 ცენტნერი ხილი ნაცვლად 35 ცენტნერისა, სოფელ ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში მოიყვანონ თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი ხილი ნაცვლად 55 ცენტნერისა.

ქარელელი კოლმეურნეები პრაქტიკულად შეუდგნენ ახალი ვალდებულებების შესრულებას.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების შესახებ

11 მარტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი, მიძღვნილი სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების გადიდებისადმი. თათბირში მონაწილეობას იღებს 400-მდე კაცი — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მტს-ების მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. კ. ნაზარენკომ.

მოხსენებანი 1956 წელს სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების სამუშაოთა შედეგებისა და 1957 წლისათვის ღონისძიებათა შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბუჯიაშვილმა, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. გ. ისმაილოვმა, სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ჩილინგარიანმა. მოხსენება 1956 წელს სიმინდის ჰიბრიდების მშობელთა ფორმების თესლის წარმოებისათვის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის შედეგებისა და 1957 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. ბ. სოკოლოვმა.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ მუხროვანის მერქანმცოდნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ამხ. ო. დენისოვი, მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შ. პაპავაძე, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების ინსტიტუტის ზაქათალის ზონალური საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. აბუნდ-ზადე თოფიკ ხალიკ ოღლი, სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ა. ეგიკიანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციის კათედრის გამგე პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

დაიყვნენ რა ჯგუფებად, თათბირის მონაწილენი შეუდგნენ მუშაობას სექციებში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მოიავანი ამხ. ვ. კოვანოვი.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

კარალეთელთა ხეხილის ბაღებში

გორი. (საკ. კორ.). სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ბაღ-ვენახებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. ბაღებში, რომელთა მთლიანი ფართობი 313 ჰექტარს შეადგენს, მიმდინარეობს ხეხილის ძირების შემობარვა, სხვლა და წამლობა. კარალეთელმა კოლმეურნეებმა გორელ მექანიზატორთა დახმარებით ხეხილის პირველი წამლობა უკვე ჩაატარეს 140 ჰექტარზე, გასხლეს 175 ჰექტარი, ხეხილს ძირები შემოუბარეს 108 ჰექტარზე და ნიადაგში შეიტანეს ასობით ტონა სასუქი.

ბაღ-ვენახების საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდნენ ის პრიგადები, რომლებსაც შ. თედლიაშვილი, ი. ჩუხრუკიძე, ა. მურადაშვილი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობაში მომზადებულია ნიადაგი და სარგავი მასალა ახალი ბაღის გასაშენებლად. წელს კარალეთელი კოლმეურნეები ახალ ბაღს გააშენებენ 70 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 ჰექტარისა.

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალო წველადობა (ნატურით)

1956—1957 სამეურნეო წლის 5 თვეში (თვითეულ ძროხაზე კილოგრამოგით)

დალაგებული ადგილი	რაიონები	1957 წლის 1 მარტისათვის	1956 წლის 1 მარტისათვის	+ გადიდება — შემცირება	რაიკომის მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
1	ბათუმის	592	494	+98	ხ. ესაძე, ა. ანანიძე
2	წითელწყაროს	445	389	+56	ი. ბერძენი, დ. ნატროშვილი
3	ქობულეთის	436	343	+93	ფ. დუმბაძე, ლ. წულუკიძე
4	საგარეჯოს	388	377	+11	გ. ნადაშვილი, ხ. ფანოზიშვილი
5	ბოგდანოვკის	370	295	+75	ს. ტულჩინი, კ. დურგარიანი
6	გარეუბნის	333	366	—33	დ. გელაშვილი, ა. კორახაშვილი
7	გურჯაანის	331	345	—14	ა. დავითაშვილი, ვ. შავგულიძე
8	მახარაძის	320	256	+64	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
9	ბოლნისის	270	259	+11	შ. ქუტიძე, ა. მამედოვი
10	მარნეულის	267	281	—14	ნ. ჯიბლაძე, დ. მამედოვი
11	ყვარლის	262	278	—16	ა. ავაზაშვილი, მ. დავითაშვილი
12	მცხეთის	253	252	+ 1	გ. სეხნიაშვილი, ზ. მირზიაშვილი
13	დმანისის	249	228	+21	მ. ყულიევი, ა. აგაევი
14	გარდაბნის	243	245	— 2	გ. დევდარიანი, ნ. გაჯიევი
15	თელავის	242	270	—28	ზ. გელდიაშვილი, ა. ასათაშვილი
16	ლაგოდეხის	238	280	—42	პ. ბაქრაძე, ლ. ჩიკვაიძე
17	ჩოხატაურის	224	205	+19	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
18	თეთრი წყაროს	222	273	—51	მ. მაისურაძე, ი. ჩომახაშვილი
19	სიღნაღის	208	208		ზ. ბიძინაშვილი, ი. მეხხიშვილი
20	ახმეტის	204	192	+12	ზ. უზუნაშვილი, გ. ბიძინაშვილი
21	გორის	201	215	—14	ი. რთველიაშვილი, ზ. თავზარაშვილი
22	დუშეთის	193	187	+ 6	ვ. ბურდული, შ. მწითური
23	კაჭრეთის	193	234	—41	ვ. რევაზიშვილი, ა. ასანიშვილი
24	ქუთაისის	192	207	—15	ა. ჩიქოვანი, ლ. ტაბიძე
25	წყალტუბოს	190	213	—23	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
26	მესტიის	182	224	—42	ხ. ჭკადუა, ხ. ჩარკვიანი
27	თერჯოლის	182	227	—45	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
28	წალკის	179	192	—13	ა. მაკაროვი, ვ. ტიტვინიძე
29	ახალქალაქის	175	134	+41	ა. ბლრციანი, გ. ბაღდასაროვი
30	ორჯონიკიძის	175	212	—37	მ. სამხარაძე, ე. აბაშიძე
31	გაგრის	172	179	— 7	კ. კინწურაშვილი, ვ. მიხაილენკო
32	სტალინირის	166	155	+11	ვ. სანაკოევი, გ. ჯუსოევი
33	ხაშურის	162	151	+11	დ. ქვლიციძე, მ. ჯიბუტი
34	აბაშის	160	194	—34	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
35	ლანჩხუთის	151	220	—69	დ. მანწყავა, მ. ვადაკორია
36	გეგეჭკორის	147	191	—44	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
37	სამტრედიის	145	196	—51	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
38	ზუგდიდის	143	148	— 5	მ. ღვინჯილია, ბ. ესართია
39	ცხაკაიას	137	116	+21	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
40	ოჩამჩირის	137	136	+ 1	ხ. ალანია, ტ. სოხელია
41	ქარელის	135	164	—29	ვ. გელაშვილი, ი. ნოზაძე
42	ყაზბეგის	134	141	— 7	ა. შადური, პ. გოგიშვილი
43	ზესტაფონის	134	170	—36	შ. ხიდაშელი, გ. არეკაძე
44	ვანის	128	189	—61	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
45	ბორჯომის	123	85	+38	ჯ. ლომაშვილი, ნ. კახაძე
46	გალის	123	160	—37	დ. გოგობია, ხ. ტუფფარია
47	ზნაურის	122	124	— 2	ნ. ცხოვრებოვი, ი. კოკოევი
48	საჩხერის	119	140	—21	ნ. კობახიძე, გ. ღვინიანიძე
49	ლენინგორის	118	103	+15	ი. უზნაძე, ა. დრიაევი
50	ტყიბულის	118	147	—29	კ. ლომაძე, ი. გორგიძე
51	კასპის	112	106*)	+ 6	გ. კეჩხუაშვილი, ა. ბასიაშვილი
52	მაიაკოვსკის	105	127	—22	ა. ტაბატაძე, კ. ჭოხონელიძე
53	ჭიათურის	99	136	—37	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
54	თიანეთის	98	120	—22	დ. გონჯილაშვილი, ზ. მათურელი
55	ახალციხის	94	83	+11	კ. კაპანაძე, მ. ბაღათურია
56	ასპინძის	94	87	+ 7	ვ. კვეძე, ლ. ისაკაძე
57	ონის	94	154	—60	შ. რეხვიაშვილი, ბ. მინდელი
58	ამბროლაურის	93	103	—10	შ. კახიძე, ვ. დავითულიანი
59	ჯავის	90	97	— 7	პ. ხარებოვი, ხ. ჯიოევი
60	წულუკიძის	89	146	—57	ხ. ლეკვა, მ. აბზიანიძე
61	ქ. ფოთი	86	174	—88	საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. ცომაია, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ცომაია.
62	გულრიფშის	84	105	—21	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
63	წალენჯიხის	78	101	—23	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
64	სოხუმის	78	116	—38	გ. ჭაჟია, კ. ცანავა
65	ხობის	77	140	—63	ა. წურწუმია, ხ. ნახარაია
66	ქედის	75	102	—27	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
67	ცაგერის	74	126	—52	გ. ჩაჩხიანი, ვ. ჭაკვეტაძე
68	ხულოს	72	66	+ 6	ა. ქონიაძე, ხ. ბერიძე
69	გუდაუთის	71	82	—11	დ. ხვარცია, კ. ვერია
70	ლენტეხის	69	104	—35	ი. ხაბულიანი, კ. გაზდელიანი
71	შუახევის	65	53	+12	რ. სარაძე, ვ. წულუკიძე
72	ადიგენის	65	77	—12	ა. ხვედელიანი, ლ. ოლლიშვილი
73	ჩხოროწყუს	50	95	—45	მ. ცანავა, შ. ხუნტაა.

*) კასპის რაიონის შესახებ 1956 წლის ცნობებში არ არის გათვალისწინებული 1957 წელს მომხდარი ორგანიზაციული ცვლილებები, ამიტომ მიმდინარე წლისა და გასული წლის ცნობები არაა შესადარისი.

მოწინავე მწველავები

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი თ. ნატროშვილი, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.383 კილოგრამი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 772 კილოგრამისა.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი გ. ცაკაშვილი, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.329 კილოგრამი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 550 კილოგრამისა.

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ს. ბუჩუკური, რომელმაც მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღო 954 კილოგრამი რძე, ნაცვლად გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 327 კილოგრამისა.



საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ა. ფეიქრიშვილი, რომელმაც 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 მარტამდე თვითეულ ძროხაზე მიიღო 485 კილოგრამი რძე, ხოლო მიმდინარე სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში — 916 კილოგრამი.

ადგილობრივი საგზოების არჩევნების წინ

აგიტატორთა ცოცხალი სიტყვა

★

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

★

ახლოვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 17 მარტი. არჩევნებისათვის მზადება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს მშრომელთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

აგიტპუნქტებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში ყოველდღიურად სულ ახალი ძალით ჩაღდება საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მომხსენებლები, ლექტორები და აგიტატორები საბჭოთა საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებასა და პროპაგანდას, აგიტაციას დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ მჭიდროდ უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, რაზმავენ მშრომელებს 1957 წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მიმდინარეობაზე „კომუნისტის“ რედაქცია ყოველდღიურად მუშსოფლკორთა და მკითხველთა მრავალ წერილს იღებს.

— საარჩევნო კამპანიის გაჩაღებამდე ჩვენს რაიონში, — ატყობინებს რედაქციას პარტიის ლენინგორის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე **ლ. ასაევა**, — 182 აგიტატორი ეწეოდა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მშრომელთა შორის, ამჟამად კი აგიტატორთა რიცხვი 340-მდე გაიზარდა. საარჩევნო უბნებთან შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 19 აგიტპუნქტი. აგიტპუნქტებში დაწესებულია აგიტატორთა მორიგეობა. ამომრჩეველთა დიდი მოწონებით სარგებლობს სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის აგიტატორი მ. ხუბულოვი, რომელიც ყოველთვის ღრმაშინაარსიან, ცოცხალ საუბრებს აწყობს. იგი სისტემატურად ესაუბრება ამომრჩეველებს საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობაზე ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით. აგიტატორმა რამდენიმე საუბარი მიუძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალების გაცნობას. ასევე კარგად მუშაობენ აგიტატორები მ. ქუტაშვილი, ე. ხუბაევი, ხ. ყოჩიშვილი, მ. ჩარაევი, ე. ციმინტია.

ქალაქ ფოთის ნინოშვილის სახელობის № 2 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის საქმიანობაზე რედაქციას სწერს აგიტატორი **ნ. კუზნეცოვი.**

— ყოველ საღამოს აგიტპუნქტში ბევრი ამომრჩეველი იკრიბება, — წერს იგი. — ისინი აქ მოდიან ახალი ჟურნალ-გაზეთების წასაკითხავად, მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების მოსასმენად. აგიტატორების ზ. ღლონტის, რ. რურუოვას, ტ. მექვაბიშვილის დახმარებით დიდი გემოვნებით არის გაფორმებული ფოტოსტენდები, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი არის მიძღვნილი.

ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაა გაჩაღებული ქუთაისის მშრომელთა შორის. ქუთაისელი აგიტატორები აღწევენ კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის დუშეთის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეებისა და ლექტორ-მომხსენებლების რაიონული თათბირი, — იტყობინება რაიონული გაზეთის „სტალინური გზით“ რედაქციის მუშაკი **გ. ნადარეიშვილი.** — თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს სააგიტაციო მუშაობის თავიანთი გამოცდილება.

— სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პოლიტიკური აგიტაცია წულუკიძის რაიონის მშრომელთა შორის, — წერს რედაქციისათვის გამოგზავნილ ინფორმაციაში **გ. გეგუჩაძე.** — რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში 800 აგიტატორი ამომრჩეველებს ყოველდღიურად ესაუბრება მათთვის საინტერესო თემებზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემაა მსოფლიოში“, „საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა“, „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“, „მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია“ და სხვ.

ამ დღეებში აგიტპუნქტებში, ამომრჩეველთა საცხოვრებელ სახლებში დაუცხრომლად გაისმის აგიტატორთა მომწოდებელი ხმა, მათი მართალი, ბოლშევიკური სიტყვა. ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მომავალ არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის გამარჯვებისათვის. ყოველივე ამის შესახებ რედაქციას სწერენ: თბილისიდან მასწავლებელი **ი. ჭანტურია,** მუშაკორი **ი. ბოლქვაძე,** აგიტატორი **ე. გოგუაძე,** ბოლნისის რაიონიდან პარტორგანიზაციის მდივანი **მ. გუნაშვილი,** ყვარლის რაიონიდან მასწავლებელი **გ. ნერსესაშვილი,** ცაგერის რაიონიდან აგიტპუნქტის გამგე **შ. ყურაშვილი,** ლანჩხუთის რაიონიდან სოფლკორი **მ. მათითაიშვილი,** მესტიის რაიონიდან სოფლკორი **ტ. არღვლიანი.**

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დაბაში № 2 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში აგიტატორი ჰ. დვალიშვილი დაბაში მცხოვრებ ამომრჩეველთა ერთ ჯგუფს ესაუბრება საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ. ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საიარაღო საამქროს მოწინავე ზეინკალი ერემაშვილი ამზადებს ჩაის დამხარისხებელი მანქანის ერთ-ერთი დეტალის ტვიფრს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

3.900 წყვილი ზეგეგმითი ფეხსაცმელი

გათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა იანვარში ვერ შეასრულა თვიური დავალება. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ აქ მკვეთრად გარდაქმნეს მუშაობა, თებერვლის დავალება 110 პროცენტით გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით 3.900 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვეს. ამან საშუალება მისცა მეფეხსაცმელეებს დაეფარათ იანვრის დანაკლისი.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დარგში. ზაფხულის სეზონისათვის ათვისებულია 2 ახალი მოდელის ფეხსაცმლის მასობრივი წარმოება. ამჟამად მუშაობენ კიდევ ერთი ახალი მოდელის ფეხსაცმლის ათვისებასა და ნაკადურ წარმოებაში დანერგვაზე.

გაძღამავალი ღრეში გამარჯვებულ კოლმეურნეობას

წალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ჭანტურია, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ცხონდია) გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა 4.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებანი.

სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებისას გამარჯვებული გამოვიდა აღნიშნული კოლმეურნეობა და მას გადაეცა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომისა და რაიალმასკომის გარდამავალი დროშა.

კოლმეურნეობა ამჟამად ჩაბმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და იბრძვის მიმდინარე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

შ. ფიფია.

წერილები რედაქციას

მეჯი ყურადღება ეარგებოდეს მადნების მოპოვების ტექნოლოგიას

ჭიათურა-საჩხერის სამადნო აუზში მოპოვებულ მარგანეცის კარბონატულ მადნებს წარმატებით იყენებენ მეტალურგიაში. ეს მადნები, როგორც გეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, უმეტეს შემთხვევაში მდებარეობენ მარგანეცის ჟანგეული შავი მადნის ჰორიზონტის თავზე, ზოგ უბანში კი მარგანეცის წყება წარმოდგენილია მხოლოდ კარბონატული მადნით.

მარგანეცის კარბონატული მადნის რაციონალურ ექსპლოატაციას ჭიათურის ზოგ მაღაროში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ეს კი ახლა შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან კარბონატული მადნის მოპოვების გაძლიერება მაღაროელებს დიდად დაეხმარება გადიდებულ საწარმოო დავალებათა პირნათლად შესრულებაში.

ამ წერილის მიზანია ჭიათურელ მაღაროელებს გააცნოს კარბონატული მადნების მდებარეობის გეოლოგიურ-სტრუქტურული ხასიათი და ამით გაუადვილოს მოპოვებითი სამუშაოების ორგანიზაცია.

კარბონატული მადანი უმეტესად ფუჭი ქანის შუა შრეებს შეიცავს. სწორედ ამიტომ არის, რომ მასში ხშირად ძნელია ფუჭი ქანის გამორჩევა, ხოლო ფუჭი ქანი, ბუნებრივია, ანაგიანებს მადანს, აუარესებს მის ხარისხს. ფუჭი ქანის შერევა კარბონატულ მადანში ხდება აგრეთვე გადამგრეხა-გამაგრების დროს. ყოველივე ეს თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა მარგანეცის თეთრი კარბონატული მადანი და შავი ჟანგეული მადანი ამოვიღოთ არა ერთდროულად, არამედ ცალცალკე.

ყველაზე უკეთეს რაციონალურ ხერხად ჭიათურის პირობებში უნდა მივიჩნიოთ ჭერსაფეხურიანი სანგრევით მადნის ამოღების მეთოდი. ეს მეთოდი გულისხმობს ჯერ სარეცხი შავი მადნის აფეთქებას და აწმენდას, შემდეგ ერთი გრძივი მეტრის დაშორებით კარბონატული მადნის აფეთქებასა და აწმენდას.

კარბონატული მადნის უარყოფითი თვისებაა მისი ადვილი მსხვრევადობა. მადნის დაქუცმაცების (მსხვრევის) თავიდან აცილების მიზნით, თუ სანგრევში სათანადო პირობებია, უმჯობესია მადნის საფეხურის მონგრევა ვაწარმოოთ პერფორატორით. ამასთან მნგრეველმა მიწისქვეშ მუშაობისას მუდამ მზედველობაში უნდა იქონიოს, რომ მადანში ფუჭი ქანის შერევის თავიდან ასაცილებლად, თუ მონგრევას აფეთქებით ვახდენთ, პერფორატორის წვერი (ე. ი. ამოღებული შპურის სიღრმე) არ გასცილდეს მადნის შრისა და ფუჭი ქანის შრის უშუალო კონტაქტის სიბრტყეს. თუ მაღაროელებს დეტალურად გავაცნობთ ამა თუ იმ სანგრევის გეოლოგიურ თავისებურებას, ასეთი წესით მუშაობა მათ საქმეს არათუ არ გაურთულებს, არამედ კიდევაც გაუმარტივებს და ხელს შეუწყობს მაღალხარისხოვანი მადნის მოპოვების ზრდას.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მარგანეცის კარბონატული თეთრი მადნისა და ჟანგეული შავი მადნის მოპოვების საქმისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. არავითარ შემთხვევაში ხელსაყრელი არ არის ამ მადნების ერთდროული მონგრევა. როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საჭიროა ორივე ამ მადნის სელექციური მოპოვების, ე. ი. ცალცალკე მოპოვების მოწესრიგება.

ა. გავაშელი,

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი გეოლოგი.

მხოლოდ დაპირება...

ახალსოფელი და ბზიაური ერთმანეთის მეზობელი სოფლებია. ისინი ერთ გამსხვილებულ კოლმეურნეობაში არიან გაერთიანებული. ამ ორ სოფელს ერთმანეთისაგან ჰყოფს მდინარე ტყიბულა, რომელზეც წინათ საუკეთესო ხიდი იყო აგებული.

ტყიბულჰესის წყალსაცავში წყლის დონის აწევის გამო მოისპო მდინარე ტყიბულაზე არსებული ყველა ფონი, წყლით დაიფარა ერთადერთი ხიდიც. ამან დიდი ზიანი მოუტანა კოლმეურნეებს. ახალსოფლელები მოსწყდნენ მთის საუკეთესო საძოვრებს, საკოლმეურნეო ფერმებს, ბაღებს და ჩაის პლანტაციებს. ბზიაურელმა 20-მდე მოსწავლემ, რომლებიც ახალსოფლის რვაწლიან სკოლაში დადიოდნენ, თავი მიანებეს სწავლას, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

ახალსოფლისა და ბზიაურის მცხოვრებლებმა არაერთხელ დააყენეს ახალი ხიდის მშენებლობის საკითხი. ჩვენს თხოვნას ტყიბულჰესის მშენებლობის ხელმძღვანელები პირველად ყურადღებით მოეკიდნენ, გამოგზავნეს დამპროექტებლები, შეადგინეს ხარჯთაღრიცხვაც, დაგვპირდნენ, რომ ზაფხულის დასასრულისათვის დაამთავრებდნენ ხიდის მშენებლობას. გავიდა ზაფხული, შემოდგომა, ზამთარიც, მაგრამ ხიდის აგებას დღემდე არ შესდგომიან, დაპირების შესრულებისათვის თავი არ შეუწუხებიათ.

საჭიროა ამ საკითხით დაინტერესდეს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველი ამხ. ვ. ჯანკოტაძე.

დ. ქათამაძე, დ. ცირეკიძე, მ. ქათამაძე.

ტყიბულის რაიონის ახალსოფლისა და ბზიაურის მცხოვრებლები.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია საქართველოში

40 წლის წინათ, 1917 წლის თებერვლის მიწურულში (ძვ. სტილით) რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მეფის თვითმპყრობელობა. ეს იყო რიცხვით მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში განახორციელა რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა გლეხობასთან მჭიდრო კავშირში. რევოლუცია დიდი ხანია მწიფდებოდა რუსეთის ისტორიული განვითარების შედეგად და მისი სწრაფი წარმატება ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების ათეული წლების განუწყვეტელი იერიშების, რუსეთის მმართველი ზედაფენის შინაგანი უძლურებისა და ლპობის, იმპერიალისტური ომის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავების შედეგი იყო.

პეტროგრადიდან რევოლუცია სწრაფად გავრცელდა მთელ რუსეთის იმპერიაში. მას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს და ამიერკავკასიის მშრომელები. დაიწყო ძველი, დახავსებული რეჟიმის ნგრევა რუსეთის განაპირა, კოლონიურ მხარეებში, სადაც მწვავე კლასობრივ ბრძოლასთან ერთად გაჩაღებული იყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

ცარიზმის დროს საქართველოს მშრომელები აუტანელ სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ. ცარიზმი აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას, ახშობდა ხალხის შემოქმედებითს ენერგიას. ცარიზმი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ დაეცვა მემამულეთა ინტერესები, მოეგო ბურჟუაზიის გული. იგი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას და ზედიზედ არბევდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მიუხედავად ამისა, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლაში საქართველოს მშრომელებს ყოველთვის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავათ. ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციაში მათ მედგრად აღმართეს სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დროშა. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ცარიზმის მხრივ რეპრესიების მიუხედავად, ისინი ძალებს იკრებდნენ ახალი იერიშებისათვის. რევოლუციური აღმავლობისა და პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა კომუნისტური პარტიის მეთაურობით ცარიზმის დამხობისათვის შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ. საზოგადოების განვითარების ობიექტური მსვლელობისა და ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველი მუშაობის ვითარებაში საქართველოს მშრომელი მასებისათვის მოულოდნელი როდი იყო ის გადამწყვეტი იერიში, რომელიც 1917 წლის თებერვალში რუსეთის პროლეტარიატმა ცარიზმზე მიიტანა და გამარჯვებით დააგვირგვინა.

მაგრამ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერკავკასიაში ბარიკადებზე არ შობილა. ამან დაღი დაასვა თებერვლის შემდგომ მოვლენათა მსვლელობას. ხელისუფლების სათავეში სწრაფად მოექცნენ ის პარტიები, რომლებსაც ცარიზმის რეპრესიები არ განუცდიათ. წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, რომელიც აქ გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, ზედაპირზე წამოაგდო ეროვნული ხასიათი და ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნება, სამრეწველო პროლეტარიატის სიმცირე და სუსტი ორგანიზებულობა, ბოლშევიკური ორგანიზაციების სისტემატური რბევა-გაჩანაგება იმპერიალისტური ომის წლებში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების თავისუფალი პარპაში და ნაციონალიზმის შხამით ხალხის შეგნების მოწამვლა იმ უეცარი გარდატეხის ვითარებაში, რაც 1917 წლის თებერვალში მოხდა, ქმნიდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ილუზიების გაბატონების ხელსაყრელ პირობებს. ადგილობრივმა ბურჟუაზიამ, გამოიყენა რა ეს ვითარება, ხელთ იგდო სადავეები და შემთანხმებლური პარტიების მხარდაჭერით გულმოდგინედ შეუდგა კლასობრივი ბრძოლის დაფარვას ეროვნული დროშით, ერის ინტერესების საფარით სამოქმედო პროგრამად გაიხადა საკუთარი კლასობრივი ინტერესების მოგვარება.

ორხელისუფლებიანობა, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა რუსეთში, არანორმალური მოვლენა იყო. იგი წარმოადგენდა იმ შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლინებას, რომელსაც შეიცავდა თვით თებერვლის რევოლუცია: რევოლუცია მუშებმა და გლეხებმა მოაწყვიტეს, მის მონაპოვარს კი ბურჟუაზია დაეპატრონა. მიწები ისევ მემამულეებს დარჩათ, მრეწველობაში კაპიტალიზმის თვითნებობას მეტი გასაქანი მიეცა, იმპერიალისტური ომი ისევ გრძელდებოდა, ნთქამდა მილიონობით ადამიანს და ქვეყნის დოვლათს. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა და მშრომელი მასებისათვის ძალაუფლების დადაცემა შეიძლებოდა რევოლუციის შემდგომი გაღრმავებით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდით, რისთვისაც ობიექტური პირობები მომზადებული იყო. სოციალისტური რევოლუცია გარდუვალი იყო, რადგან რუსეთი ან უნდა დაღუპულიყო როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა ან წინ უნდა ევლო. ერთადგილზე გაჩერება შეუძლებელი იყო. წინსვლა კი მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის გენიალური გეგმა ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა, რომელიც ემიგრაციიდან 1917 წ. 3 აპრილს დაბრუნდა რუსეთში. პარტიის VII (აპრილის) კონფერენციაზე ვ. ი. ლენინმა რუსეთის კომუნისტების წინაშე გაშალა ამომწურავი სამოქმედო პროგრამა, აღჭურვა პარტია ნათელი პერსპექტივებით და ჩააყენა იგი ერთ მონოლითურ ძალად შეკავშირებული, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის მებრძოლი მასების სათავეში.

აპრილის კონფერენციის იმ ისტორიულ მითითებათა განხორციელებისათვის, რაც სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადებას გულისხმობდა, ბოლშევიკებმა მთელ რუსეთში მჩქეფარე მუშაობა გააჩაღეს. საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ თავს უყრიდნენ ცარიზმის დროს დაფანტულ ძალებს და მძლავრ ორგანიზაციულ კოლექტივებად ყალიბდებოდნენ, ვ. ი. ლენინის პროგრამის დაუღალავი პროპაგანდა დაიწყეს. გათიშეს რა ხელოვნური ორგანიზაციული კავშირი მენშევიკებთან, რომლებიც ახლა ბოლშევიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლასთან ერთად დარბევა-დაპატიმრების მეთოდებსაც არ ერიდებოდნენ, ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ძირეული, სარაიონო და საქალაქო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მასების აღმავალ რევოლუციურ ბრძოლას ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ. ლენინური იდეების პროპაგანდას სისტემატურად ეწეოდნენ ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“ (რედაქტორი ს. ქავთარაძე), „ბრძოლა“ (რედაქტორები ფ. მახარაძე და მ. ცხაკაია), რომლებსაც შემოკრებილი ჰყავდათ მუშათა და ჯარისკაცთა ფართო აქტივი. გაზეთები ამხილებდნენ „ოზაკომის“ კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, მენშევიკურ-ესერული საბჭოების უილაჯობას, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ფარისევლობას და ეწეოდნენ რა რევოლუციის წამყვანი ლოზუნგის — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ პროპაგანდას, მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად.

თებერვლის რევოლუციას საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა რაიმე არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ფაბრიკა-ქარხნები ისევ კაპიტალისტების მფლობელობაში დარჩა. „ოზაკომი“ და მენშევიკური საბჭოები კაპიტალისტებს იცავდნენ მუშათა კლასის შეტევისაგან, ისინი კრძალავდნენ გაფიცვებს, მუშათა კონტროლს წარმოებისა და განაწილებისადმი, აჩლუნგებდნენ პროფკავშირების პოლიტიკურ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების მეთაურობით მუშათა კლასი შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაისიდან საქართველოს სამრეწველო საწარმოებში დაიწყო მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ყოველთვიურად უფრო ფართოვდებოდა და ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლად იქცეოდა.

მძლავრი აგრარული მოძრაობა გაჩაღდა საქართველოს სოფლებში. ვ. ი. ლენინის მოწოდებას მემამულეთა მიწების ორგანიზებული დატაცებისა და საგლეხო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ საქართველოს მშრომელმა გლეხობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. უკვე აპრილში სიღნაღისა და თბილისის მაზრებში დაიწყო მემამულეთა მიწების თვითნებური დამუშავება, სახაზინო ტყეების გამოყენება. გორის, ბორჩალოს, თიანეთის, დუშეთის მაზრებში. მთელ დასავლეთ საქართველოში გლეხებმა უარი თქვეს მემამულეთათვის ღალა-ბეგრის და ოჯახ-

უკეთ მოვაწყოთ ახალგაზრდობის დასვენება

ახალგაზრდა მუშას, კოლმეურნეს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მოთხოვნილება აქვს მოუსმინოს რადიოს, წაიკითხოს წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, დაესწროს საღამო-კონცერტებს, ნახოს ახალი კინოფილმი.

რა კეთდება ამ მიმართულებით ქარელის რაიონში, რა საშუალებები აქვს რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობას კულტურული დასვენებისათვის?

რაიონში კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდების რიცხვი 3.000-ს აღემატება. მათ მომსახურებას უწევს 13 სასოფლო კლუბი, 1 კულტურის სახლი, 9 სამკითხველო, 14 სასოფლო ბიბლიოთეკა, მათ შორის 1 საბავშვო ბიბლიოთეკა. მოსახლეობის კინომომსახურებას ეწევა 9 სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს გარკვეული მიღწევები აქვთ მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. რაიონის კულტურის სახლთან (დირექტორი გ. რამიშვილი) ჩამოყალიბებულია დრამატული, ქორეოგრაფიული, მხატვრული, მცოდნეობის, ჭრა-კერვის და ჭადრაკის შემსწავლელი წრეები, შექმნილია საესტრადო ანსამბლი. დრამატული წრის მუშაობისა და მის მიერ დადგმული სპექტაკლების შესახებ ნათლად მოგვითხრობენ კულტურის სახლში მოწყობილი ლამაზად გაფორმებული ფოტოსტენდები.

გასულ წელს კულტსახლთან შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებმაც მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთათვის მოაწყეს 38 გასვლითი სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მომსახურება გაუწიეს კოლმეურნეებს.

დრამატული წრის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები: ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნ. მარჯანიძე, ადგილობრივი მრეწველობის ფეხსაცმლის არტელის გამომჭრელი ა. ზიზოვი, კინომექანიკოსი ი. კრიხელი და სხვები.

მშრომელთა კარგი მომსახურებით გამოირჩევიან აგრეთვე დაბა აგარის და სოფელ ურჭნისის კლუბები. აღნიშნულ კლუბებში ჩამოყალიბებულია მხატვრული თვითმოქმედების წრეები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სისტემატურად აწყობენ საღამო-კონცერტებს. აღსანიშნავია, რომ აგარის სადაბო კლუბში ქართულ დრამატულ წრესთან ერთად მუშაობას ეწევა რუსული დრამატული წრე. წრეებში უმეტესად აგარის შაქრის ქარხნის მუშებია გაერთიანებული.

ახალგაზრდობა შრომის შემდეგ ხარბად ეწაფება თვითგანვითარებას; მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის კითხვას. ახალგაზრდობის საყვარელ ადგილს წარმოადგენენ ქარელის სარაიონო და აგარის სადაბო ბიბლიოთეკები. ეს განსაკუთრებით ითქმის აგარის ბიბლიოთეკაზე (გამგე მ. ედიშერაშვილი). ბიბლიოთეკის შენობა ფართო და ნათელია, აქვს ცენტრალური გათბობა, მდიდარია მისი წიგნის ფონდი.

ბიბლიოთეკა იღებს 41 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთებს. ბიბლიოთეკაში ყოველთვის იგრძნობა სიახლე. აქ მოწყობილია გამოფენები, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი, ატომის ენერგიის ადამიანის სამსახურში ჩაყენებისადმი და სხვ. აგარის სადაბო ბიბლიოთეკის მუშაობა მისაბაძია. მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს აგრეთვე აგარის მტს-ს.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ნაკლოვანებანი რაიონის სასოფლო კლუბებისა და სამკითხველოების მუშაობაში. ქვემო ხვედურეთის, სამწერისის, დირბის, აბანოს, სანებლის სასოფლო კლუბებსა და სამკითხველოებთან არსებული წრეების მუშაობა თითქმის ჩაშლილია. არ ხდება ახალგაზრდების მოზიდვა, თვითმოქმედი წრეების მუშაობით დაინტერესება. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ კლუბები და სამკითხველოები უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო ინვენტარით, გათბობით.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კლუბებისა და სამკითხველოების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. გასულ წელს ქარელის, კეხიჯვრის, ზღვების და მთელმა რიგმა სხვა სასოფლო საბჭოებმა ვერ ითვისეს ინვენტარისა და წიგნების შესაძენად გათვალისწინებული თანხები.

რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება (გამგე ამხ. ნ. გოჩაშვილი) სუსტად ხელმძღვანელობს და ვერ წარმართავს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას. აქ სიმძიმის ცენტრი გადატანილია მოსახლეობის კინომომსახურებაზე და სათანადო ყურადღება არ ექცევა მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობას.

რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ფიზკულტურისა და სპორტისადმი. მაგრამ მისი განვითარებისათვის აქ ცუდი პირობებია. რაიონში არ არის სასპორტო დარბაზი, კეთილმოეწყობელია საზაფხულო მოედანი. საშუალო სკოლის მცირე მოცულობის დარბაზი გაუთბობელია, არა აქვთ სათანადო იარაღები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა აგარაში, სადაც მრავალი ახალგაზრდაა.

ქარელში ბევრ ახალგაზრდას საუკეთესო შრომითი მიღწევები აქვს. ამასთან ისინი მასობრივ-საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობენ. მაგრამ ასეთ ახალგაზრდებთან ერთად არიან როგორც კომკავშირელები, ისე კავშირგარეშე ახალგაზრდები, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაურბიან. რამდენიმე წელია, რაც გ. ხიზანიშვილს, ა. კაკაშვილს შრომადღეების საგალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ. ასეთი ახალგაზრდების რიცხვი ცოტა როდია. ამ ახალგაზრდების შრომის ფერხულში ჩაბმა და მათ შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლა კომკავშირის ქარელის რაიკომის გადაუდებელი საქმეა.

დღითიდღე წინ მიდის ჩვენი ქვეყანა, დღითიდღე იზრდება ახალგაზრდობის და მთელი მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებანიც. მათთვის ნორმალური კულტურული დასვენების მოწყობა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა.

ხ. არჩემაშვილი.

გამოვიდა რუსულ-ქართული ლექსიკონის I ტომი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა რუსულ-ქართული ლექსიკონის I ტომი. ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიაში შედიან პროფ. გ. ახვლედიანი, ქ. დათიკაშვილი, დოც. ს. ვაჩნაძე, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ქ. ლომთათიძე, ნ. ღოღობერიძე, პროფ. ა. შანიძე, პროფ. ა. ჩიქობავა, პროფ. გ. წერეთელი (ტირაჟი 35.000 ცალი, თვითეული ტომის ფასი 21 მანეთი).

რუსულ-ქართული ლექსიკონი შედგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ. იგი გამოდის სამ ტომად, შეიცავს 64.687 სიტყვას. პირველ ტომში შედის სიტყვები А-М ასოებზე, მეორეში — Н-П და მესამეში Р-Я ასოებზე. მთელი მასალა უკვე რედაქტირებულია, მიმდინარეობს მეორე ტომის აწყობა.

ლექსიკონი ასახავს რუსული სალიტერატურო ენის ამჟამინდელ ვითარებას. მასში შესულია ის ახალი სიტყვები და გამოთქმებიც, რომლებიც წარმოიქმნა და გავრცელდა უკანასკნელ ხანებში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ფართო ფენებს რუსული ენის შესწავლაში, დაეხმაროს მასობრივ მკითხველს მხატვრული, პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურის რუსულ ენაზე კითხვის დროს და მთარგმნელებს რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნისას.

ლექსიკონზე ხელის მოწერა მიმდინარეობს რაიონებში „საქწიგნის“ საფირმო მაღაზიებში, ხოლო თბილისში — ხელმოწერით გამოცემათა მაღაზიაში.

სასარგებლო მონოგრაფია

ამას წინათ საქმედგამმა გამოსცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ა. კუტუბიძის წიგნი „პერიფერიული ნერვის ტრავმული დაზიანების ქირურგიული მკურნალობა“, რომელიც ეხება ნეიროქირურგიის მეტად აქტუალურ საკითხებს.

ავტორმა შეისწავლა ეპინერვის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა ექსპერიმენტული დისტროფიის განვითარებაში. მან აღმოაჩინა ერთეული და კონებად არსებული სხვადასხვა ყალიბის ნერვული ბოჭკოები, რომლებიც ქმნიან მგრძნობელ აპარატს.

წიგნში ფართოდ არის აწერილი ნერვის გადაკვეთის და გადაკვეთილი ნერვის გაკერვის ორიგინალური მეთოდი. ექსპერიმენტულად დასაბუთებულია ამ მეთოდის უპირატესობა ნერვის ჩვეულებრივი გაკერვის მეთოდთან შედარებით. ამის გამო აღნიშნული ნაშრომი საინტერესოა არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია პრაქტიკულად მომუშავე ექიმებისთვისაც.

კულტურის ახალი კერა

კულტურის სახლის საერთო ხედი. ფოტო ვ. გიწბურგისა.

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს. დამთავრდა კულტურის სახლის მშენებლობა. არქიტექტურულად ლამაზ შენობას, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანთან არის აღმართული, აქვს კეთილმოწყობილი სცენა, მაყურებელთა დარბაზი 400 კაცისათვის, სალექციო დარბაზი და 18 ოთახი საწრეო მუშაობისათვის.

კულტურის ამ შესანიშნავი კერის აგება დაჯდა მილიონნახევარი მანეთი. მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს ინჟინრებმა ა. ბურდულმა და ნ. კვაჭაძემ, ხუროებმა და კალატოზებმა გ. ჯაბანაშვილმა, ტ. მანდენოვმა, ნ. ინაშვილმა, ს. მაისურაძემ და სხვ. მშენებლობა დამთავრდა ვადაზე 7 თვით ადრე.

კვირას, 10 მარტს, დუშეთის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა საზეიმოდ ჩაბარეს კულტურის სახლი — ხალხის მიმართ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შესანიშნავი ნაყოფი.

საზეიმო კრება, რომელსაც ესწრებოდა მეტი კაცი დაესწრო, გახსნა პარტიის რაიკომის მდივანმა ვ. ბურდულმა. სიტყვები წარმოთქვეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსმა ა. ბურდულმა, დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მწველავმა ე. პირმისაშვილმა, მასწავლებელმა თ. ლომთათიძემ, მოსწავლე მ. არუთინოვმა. კულტურის სახლის გახსნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს მასწავლებლებმა ი. ტუნტურიშვილმა და ვ. კასრაძემ.

მშენებლებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ი. სხირტლაძე, რომელმაც გამოაქვეყნა კულტურის სამინისტროს ბრძანება მოწინავე მშენებელთა ჯების სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

კულტურის სახლის ფოიე.

დასასრულ კულტურის სახლის, დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის თვითმოქმედი კოლექტივებისა და თბილისის მსახიობთა ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

კულტურის სახლის გახსნას ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან და მეზობელი რაიონებიდან.

მტკიცედ დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელების საქმეში. ამ პატრიოტული შრომის შედეგები კიდევ უფრო სასახელო იქნება, თუ ქალაქში მტკიცედ დავიცავთ საზოგადოებრივ წესრიგს, ულმობლად ვიბრძოლებთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

თბილისის მილიციის დაწესებულებები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ქალაქში წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. მათ საგრძნობ დახმარებას უწევენ აქტივისტები — საწარმოდაწესებულებათა მოწინავე ადამიანები, რომლებიც გაერთიანებული არიან მილიციის დამხმარე ბრიგადებში.

აქტივისტმა, თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის მუშამ ამხ. გ. ადუაშვილმა გამოავლინა და მილიციის განყოფილებაში წარადგინა საზოგადოებრივი წესრიგის 22 დამრღვევი, დაკავა სპეკულანტი.

წესრიგის დამრღვევთა, დამნაშავეთა გამოვლინების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფელ დიღმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ზ. ხოსიტაშვილი. 1956 წელს მისი დახმარებით მილიციის მუშაკებმა შეიპყრეს კაცის მკვლელი. მილიციის დაწესებულებებისადმი აქტიური დახმარებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პრძანებით ხოსიტაშვილს მიეცა ჯილდო და გამოეცხადა მადლობა. ჯილდო დაიმსახურა აგრეთვე აქტივისტმა, სოფელ ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ა. მირზაშვილმა, რომელმაც შეიპყრო სასროლი იარაღით შეიარაღებული ბანდიტი. თბილისის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობამ სამჯერ გამოუცხადა მადლობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ღვინის ქვის მეავას ქარხნის მცველს ამხ. შ. თევდორაშვილს.

მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს ამხანაგები თ. მაისურაძე, ე. ბაბურიშვილი, მ. თავაზიანი, ი. ასაევი, ს. სომხიევი, გ. ივანცოვი, მ. კალანდაძე და ბევრი სხვა, რომლებიც გაერთიანებული არიან მილიციის დამხმარე ბრიგადებში.

მისასალმებელია თბილისის მთელი რიგი საწარმო-დაწესებულებების ინიციატივა დახმარება გაუწიონ ტერიტორიულად მათთან ახლოს მდებარე კინოთეატრებისა და ბაღების დირექციებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 10 ამხანაგი გამოჰყო პლეხანოვის სახელობის ბაღსა და კლუბში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. გამოყოფილი ამხანაგების მუშაობას სისტემატურად ამოწმებენ ქარხნის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია. სამჭედლო საამქროს ოსტატი ქ. კერვალიშვილი, ხარატი გ. პავლიაშვილი, ზეინკალი ს. კიკილაშვილი მოწინავენი არიან როგორც ქარხანაში, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატიდან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გამოყოფილი ამხანაგების ერთი ნაწილი თავს არიდებდა მუშაობას. კომბინატის პარტორგანიზაციამ ეს საკითხი შეისწავლა და სათანადო მუშაობა ჩაატარა მათთან, რის შედეგადაც მდგომარეობა გამოსწორდა. მაგალითად, მილიციის დამხმარე ბრიგადის წევრი, ზეინკალი ამხ. გ. მამულოვი პირველ ხანებში პასიურობას იჩენდა, არ გამოდიოდა შემოვლებზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტიულმა ორგანიზაციამ მიუთითა, მან გარდაქმნა მუშაობა. ახლა იგი მილიციის დამხმარე ბრიგადის ერთ-ერთი აქტიური წევრია.

როდესაც საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ და წარმართავენ მილიციის დამხმარე ბრიგადის წევრთა მუშაობას, შედეგიც კარგია. მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ფორმალურად მიუდგნენ ამ საკითხს.

რა შეიძლება ეწოდოს იმას, თუ არა საკითხისადმი ფორმალური დამოკიდებულება, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მილიციის დამხმარე ბრიგადებში სამუშაოდ გამოჰყვეს ისეთი ამხანაგები, რომლებიც სისტემატურად მივლინებებში არიან და საშუალება არა აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. კარტოგრაფიული ფაბრიკიდან, ცენტრალური თბოსადგურიდან და მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოდან დამხმარე ბრიგადის წევრებად გამოყოფილი ამხანაგების დიდი ნაწილი კი სრულად უგულებელყოფს ამ დავალებას.

ამხანაგების შერჩევა და მათი სიების მილიციის შესაბამის განყოფილებაში გადაგზავნა მხოლოდ საქმის დასაწყისია. თუ სისტემატურად არ შევამოწმებთ ამხანაგებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულებას, ვერავითარ სერიოზულ შედეგს ვერ მივიღებთ. ეს ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ მილიციის განყოფილებათა უფროსებმა აღნიშნული ფაქტების შესახებ პრინციპულად არ დასვეს საკითხი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე. უფრო მეტიც, ისინი ხშირად ითმენენ იმ მდგომარეობას, რომ მილიციის განყოფილებების ზოგიერთი მუშაკი სათანადოდ ვერ იყენებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებას. მოლოტოვის რაიონის მილიციის განყოფილების უბნის რწმუნებულმა ამხ. ფურცელაძემ დღემდე ვერ ჩაბა მუშაობაში ავეჯის მე-3 ფაბრიკიდან გამოყოფილი 4 ამხანაგი, რომლებსაც სურვილი აქვთ იმუშაონ დამხმარე ბრიგადებში. ამ მხრივ სუსტად მუშაობენ აგრეთვე ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების უბნის რწმუნებულები გ. ბალიაშვილი და მ. ქრისტესიაშვილი.

ბევრ ჩვენგანს უნახავს თბილისის ქუჩებში და მოედნებზე, ბაღებში და თეატრების შესასვლელებთან მკლავზე წითელლენტგაკეთებული ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. ბევრი კარგი საქმე გააკეთეს თბილისის იმ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ღონისძიებებში. მაგრამ ბოლო დროს ხშირად ვეღარ ვხედავთ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გამოსულ ახალგაზრდებს. ამასთან არის შემთხვევები, რომ წესრიგის დასაცავად გამოსულთა ერთი ნაწილი მკლავზე წითელ ლენტს არ იკეთებს.

თბილისის მილიციის დაწესებულებები მოწოდებული არიან მტკიცედ დაიცვან ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი. ამ პასუხსაგები ამოცანის განსახორციელებლად მათ ესაჭიროებათ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული აქტივის, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და დახმარება. თბილისის მოსახლეობამ ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში.

ჯ. რამიშვილი,
მილიციის პოდპოლკოვნიკი,

გ. ბერეზაშვილი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

რის გადახდაზე, საუფლისწულო მამულები ადმინისტრაციის დაუკითხავად მოხნეს და დათესეს, გააძევეს კულაკი-მოიჯარადრენი. შეშფოთებულმა მემამულეებმა დახმარებისათვის „ოზაკომს“ მიმართეს. „ოზაკომი“ და გლეხთა მენშევიკური სამხარეო საბჭო ყველა ზომას მიმართავდნენ აგრარულ „უწესოებათა“ აღსაკვეთად, სადამსჯელო სამხედრო ნაწილებს გზავნიდნენ სოფლებში, მაგრამ ბოლშევიკების მეთაურობით გაჩაღებული აგრარული მოძრაობა უფრო ფართოვდებოდა და სპობდა ფეოდალური ურთიერთობის იმ სამარცხვინო ნაშთებს, რაც ჩვენში 1917 წლამდეც კი შემორჩენილი იყო.

ბოლშევიკების მეთაურობით მძლავრი აგიტაცია გაჩაღდა კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის. ბოლშევიკებმა, მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, არმიაში შექმნეს პარტიული უჯრედები და აქტიურ რევოლუციურ ძალად გადააქციეს ჯარისკაცები, რომლებიც მენშევიკებს სურდათ პოლიტიკური ცხოვრების გარეშე დაეყენებინათ. ჯარისკაცთა კრებებზე და მიტინგებზე გმობდნენ შემთანხმებელთა გამცემლობას, მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის, იმპერიალისტური ომის უანექსიო დემოკრატიული ზავით დამთავრებას და იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიასა და საქართველოში განსაკუთრებით რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. აქ წვრილბურჟუაზიული სტიქიის მძლავრობის პირობებში გაცილებით ხანგრძლივი და უფრო მტკივნეული იყო შემთანხმებლური ილუზიებიდან მასების იზოლაციის პროცესი. საქართველო სამრეწველო პროლეტარიატის სისუსტის გამო ჩამორჩებოდა რევოლუციური მოვლენების ისეთ სწრაფ განვითარებას, რაც პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა მსხვილი ცენტრებისათვის იყო დამახასიათებელი. ბოლშევიკებს ყველა უბანზე განსაკუთრებული შეუპოვრობით უხდებოდათ იმ მოთაფლულ დაპირებათა სიცრუის მხილება, რომლებსაც მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები უხვად აბნევდნენ. მიუხედავად ამისა, კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა თანდათან ხდიდა ფარდას ბურჟუაზიასა და მის დამქაშებს — „სოციალისტებს“, აშკარავებდა მათს კონტრრევოლუციურ ბუნებას და ზრდიდა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკურ არმიას.

1917 წლის აპრილის მანიფესტაციაში, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებში ნათლად გამომჟღავნდა რუსეთის მშრომელი მასების გულისწყრომა და ზიზღი დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისადმი. 3-5 ივლისის დემონსტრაციის დახვრეტამ, რომელშიც დროებით მთავრობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოს მენშევიკ-ესერმა მესვეურებმაც, ბოლშევიკური პარტია იძულებული გახადა ძალაუფლების მშვიდობიანი აღების ტაქტიკა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების ტაქტიკით შეეცვალა. ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობამ, სადაც ლენინის სახელმძღვანელო მითითებანი გადმოცემულ იქნა ი. ბ. სტალინის მოხსენებებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ აიღო.

საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ახალ ვითარებაში თავიანთ სამოქმედო პროგრამას საფუძვლად დაუდეს VI პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი. კავკასიის რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის, ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის კოორდინირების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 2 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში. ყრილობაზე მოსმენილი მოხსენებები და დადგენილებები ომისა და რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შეადგენილი იყო პარტიის VI ყრილობის მითითებათა საფუძველზე და ამიერკავკასიის თავისებურებათა გათვალისწინებით ბოლშევიკების წინაშე კონკრეტულ ამოცანებს სახავდა. ყრილობამ აირჩია რკპ(ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ს. შაუმიანის, მ. ცხაკაიას, პ. ჯაფარიძის, ფ. მახარაძის, ს. ქავთარაძის, მ. ორახელაშვილის, მ. ტოროშელიძის, ა. ნახარეტიანის, მ. კორგანოვის, ს. კასიანის, დ. შავერდოვის და სხვ. შემადგენლობით, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაუდგა სათავეში ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად მშრომელი მასების დარაზმვის საქმეს.

ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, როცა ბურჟუაზიული მთავრობა რევოლუციური ძალების აშკარა დათრგუნვის პოლიტიკაზე გადავიდა, ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა და სამხარეო შემთანხმებლურმა საბჭოებმა დაიწყეს სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ, რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. აკრძალულ იქნა კავკასიის არმიაში გაზეთების „პრავდას“ და „კავკაზსკი რაბოჩის“ გავრცელება; „ოზაკომი“ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა დროებითი მთავრობის განკარგულებას ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ და ბრძანების ასლი დაგზავნა მაზრებსა და ფრონტის ნაწილებში, აკრძალა მიტინგების ჩატარება, კაპიტალისტებს ნება მისცა ქუჩაში გამოეყარათ გაფიცვის მოთავე მუშები, სოფლებში სამაზრო კომისრების განკარგულებაში დაგზავნა საიმედო სამხედრო ნაწილები აგრარული რევოლუციის აღსაკვეთად. გარდა ამისა, კორნილოვშჩინის დღეებში მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი არჩევითი ორგანოების სალიკვიდაციოდ და მთელი ძალაუფლების საგუბერნიო და საგაზრო კომისრებისათვის დასამორჩილებლად.

მიუხედავად ბურჟუაზიულ-მემამულური „ოზაკომის“ და შემთანხმებლური ორგანოების რეპრესიებისა, ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა ფართოვდებოდა, რევოლუციური მოძრაობა მუშათა შორის, გლეხობაში, არმიის რიგებში აღმავლობას განიცდიდა, მუშებისა და გლეხების შეგნებული ნაწილი მენშევიზმს ზურგს აქცევდა. გაზეთი „ბრძოლა“ სამართლიანად მიუთითებდა, რომ დღითიდღე ინგრევა მენშევიზმის ძლიერების ტახტი საქართველოში; თვით მენშევიზმის ლიდერი ნ. ჟორდანია ჯერ კიდევ სექტემბერში უჩიოდა მუშათა შორის ბოლშევიკური იდეების ფართოდ გავრცელებას და პარტიის წევრებს აფრთხილებდა მიეღოთ გადამჭრელი ზომები ამის წინააღმდეგ.

ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას საქართველოს მშრომელი მასები რევოლუციური ბრძოლის მაღალი აქტივობის ვითარებაში შეხვდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში 1917 წელსვე ვერ მოხერხდა. ამას თავისი ორმა შინაგანი და საგარეო მიზეზები ჰქონდა. ამიერკავკასიის ექსპლოატატორულმა კლასებმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ კონტრრევოლუციის ძალებმა მოწყვიტეს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს, მათ უცხო სახელმწიფოთა დახმარებით, მუშათა და გლეხთა ჯერ კიდევ დიდი ნაწილის პოლიტიკური მოუმზადებლობის გამო მოახერხეს ამიერკავკასიაში თავიანთი ბატონობის დროებით შენარჩუნება. მაგრამ ამიერკავკასიის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ შეუპოვარ ბრძოლებში კომუნისტური პარტიის მეთაურობით და საბჭოთა რუსეთის დახმარებით მიაღწიეს თავიანთ მიზანს. 1921 წელს საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, და ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

დოც. ა. სურგულაძე.

მოღაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს შორის

პეკინი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 10 მარტს პეკინში დაიწყო მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ვ. შიროკის შორის.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის მხრივ სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეებმა ხე ლუნმა, ბო ი-ბომ, მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვან ხე-შუმ, საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა, კულტურის მინისტრმა შენ იან-ბინმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლი დე-ციუანმა და სხვებმა. ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის თავრობის დელეგაციის ყველა წევრმა: სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარემ ოტაკარ შიმუნეკმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ოლდრიხ ჩერნიკმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ დავიდმა, ფინანსთა მინისტრმა იულიუს დიურიშმა, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ემანუელ შლეტამ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა იოზეფ პლოიგარმა და სხვებმა.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლანდელი საერთაშორისო ვითარების, სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობის განმტკიცებისა და ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბუდაპეშტი, 9 მარტი. (საკდესი). უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა სიგნალებით, რომლებიც მოსახლეობამ მისცა, მოახდინეს ჩხრეკა ბუდაპეშტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტში. ინსტიტუტებში აღმოჩნდა ბევრი მძიმე და ხელის ტყვიამფრქვევი, ავტომატი, პისტოლეტი, დიდძალი საომარი მასალა, აგრეთვე პორტატიული მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურები, აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მრავალი ფურცელი, რომლებიც აქეზებენ საჩქარო დემოკრატიისა და უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ.

ჩხრეკის შედეგების საფუძველზე შინაგან საქმეთა ორგანოებმა დაპატიმრეს რამდენიმე საეჭვო პირი.

უნგრეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერების გეგმები

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკდესი). როგორც ჩანს უნგრეთში კონტრრევოლუციური პუტჩის ერთ-ერთი მეთაურის ვინმე კირაის განცხადებიდან, რომელიც მოყვანილია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“, ამერიკის შეერთებულ შტატებში მზადდება სახალხო უნგრეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი და დივერსიული მოქმედების გაძლიერების გეგმები.

კირაიმ გამოაცხადა, რომ შედგენილია ეგრეთწოდებული „უნგრეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ფედერაციის“ შექმნის გეგმები. ამ ძირგამომთხრელ ორგანიზაციაში დასახულია გაერთიანდეს უნგრეთიდან გაქცეული ყველა კონტრრევოლუციური ნაძირალა. როგორც კირაის განცხადებიდან ჩანს, ეს ორგანიზაცია იმოქმედებს დასავლეთის სახელმწიფოთა სახსრებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 8 მარტის პლენარული სხდომა დაიწყო აფრიკის ახალი სახელმწიფოს განის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების საკითხის განხილვით. როგორც ცნობილია, 7 მარტს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ურჩიოს გენერალურ ასამბლეას მიიღოს განის სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის მხარდასაჭერად გამოვიდა 21 დელეგატი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა სსრ კავშირის დელეგაციისა და საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მიულოცა აფრიკის ახალი სახელმწიფოს ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა სობოლევმა, გულწრფელად ამედოვნებს, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ყველა ხალხი, რომლებიც კოლონიურ დამოკიდებულებაში არიან, განთავისუფლდება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ბორკილისაგან და ეროვნულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს.

გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო სახელმწიფო განა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ახლა, განის მიღების შემდეგ, არის მსოფლიოს 81 სახელმწიფო.

ამის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა ასამბლეას წარუდგინა თავისი მოხსენება ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობისა და ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ.

შემდეგ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბირმის, ერაყის, ჩეხოსლოვაკიის, ისლანდიის, ნეპალის, დანიის, კანადის, ინდონეზიის, იუგოსლავიისა და ირლანდიის წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი ყება-დიდებას ასხამდა ისრაელს იმისათვის, რომ უკანასკნელმა „ყურადღო გენერალური ასამბლეის მოწოდებანი“, და მოითხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების მუდმივ განლაგებას ახლო აღმოსავლეთის რაიონში, რამაც, ამერიკის დელეგატის მტკიცებით, „ხელი უნდა შეუწყოს ამ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე საფუძვლების დამყარებას“.

მთელმა რიგმა დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომელიც იწვევს ვითარების გამწვავებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში.

ერაყის წარმომადგენელმა ჯავათმა თავის სიტყვაში არაბთა ქვეყნების ხალხების სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს „იმ ჭეშმარიტი მიზეზების ღრმა გაგებისათვის, რომლებმაც გამოიწვია აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ“, და ამ აგრესიის წინააღმდეგ ეგვიპტის სამართლიანი ბრძოლისათვის მხარდაჭერის გამო.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ი. ულრიხმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მოელს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეძლებს სავსებით მოახდინოს აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია და ისრაელს არ მისცეს ნება მოიმკოს აგრესიის ნაყოფი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები, თქვა მან, არ უნდა გადაიქცნენ საოკუპაციო არმიად, რომელიც ეგვიპტეს ჩამოაშორებს მისი ტერიტორიის ნაწილს.

შემდეგ გამოსული ისრაელის დელეგატი ებანი ცდილობდა გაემართლებინა ისრაელის მოქმედება და მაღალფარდოვნად გამოთქვამდა მადლობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოსადმი.

ამ საკითხის განხილვისას უკანასკნელი გამოვიდა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფავზი, რომელმაც მადლობა გადაუხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმ დახმარებისათვის, რაც ამ ორგანიზაციამ ეგვიპტეს გაუწია აგრესიის შეწყვეტის საქმეში.

ასამბლეა გადადის უკანასკნელი საკითხის განხილვაზე.

ბრაზილიის, კანადის, კოლუმბიის, ირანის, იაპონიის, ნორვეგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა ერთობლივად წარადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა „დროებით წყვეტს თავის XI სესიას და რწმუნებას აძლევს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციით, რომელთა წარმომადგენლები გენერალური კომიტეტის წევრები იყვნენ ამ სესიის დროს, კვლავ მოიწვიოს გენერალური ასამბლეა საჭიროების შემთხვევაში 66 და 67 პუნქტების შემდგომი განხილვისათვის“ (ე. ი. ახლო აღმოსავლეთისა და „უნგრეთის“ საკითხების განხილვისათვის).

ამ პროექტის მხარდასაჭერად გამოვიდნენ მისი ავტორები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა ასამბლეას მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას უკვე არაერთგზის აღუნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა განიხილოს „უნგრეთის საკითხი“, რამდენადაც ეს საკითხი მთლიანად ეკუთვნის უნგრეთის მთავრობის საშინაო კომპეტენციას. უნგრეთის მთავრობა, განაცხადა სობოლევმა, აგრეთვე მტკიცედ ილაშქრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნგრეთის საკითხის რაიმე განხილვის წინააღმდეგ. საბჭოთა დელეგაცია, თქვა სობოლევმა, არ ეწინააღმდეგება რა მთლიანად პროექტს, მტკიცედ მოითხოვს გამორიცხოს იქიდან 67 პუნქტის, ე. ი. „უნგრეთის საკითხის“ ხსენება.

ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ ამერიკის დელეგატი და ზოგიერთი სხვა დელეგატი.

ეს რეზოლუცია კენჭის საყრელად დაისვა და მიღებულ იქნა 65 ხმით. საბჭოთა წინადადება, რომ რეზოლუციის პროექტიდან გამორიცხოს „უნგრეთის საკითხის“ ხსენება, მიღებულ არ იქნა. მას ხმა მისცა 6 დელეგაციამ — სსრ კავშირმა, ალბანეთმა, ბულგარეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ; მის წინააღმდეგ ხმა მისცა 69 დელეგაციამ; 2 დელეგაციამ — იუგოსლავიამ და იემენმა — თავი შეიკავა.

მთელი რიგი დელეგატების მოკლე საბოლოო სიტყვების შემდეგ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ გენერალური ასამბლეის XI სესია შეწყვეტილად გამოაცხადა.

ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრებს შორის

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ დამთავრდა მოლაპარაკება ერთი მხრივ ინგლისის პრემიერ-მინისტრს მაკმილანსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ლოიდს და მეორე მხრივ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოლესა და საგარეო საქმეთა მინისტრს პინოს შორის. გამოქვეყნებული ოფიციალური კომუნიკედან, რომელიც შედგენილია ზოგადი გამოთქმებით, ჩანს, რომ „მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვაშინგტონის და ოტავის ამასწინანდელი მოლაპარაკებისა (იგულისხმება მოლესა და პინოს მოლაპარაკება ამერიკელ და კანადელ სახელმწიფო მოღვაწეებთან.— რედ.) და ბერმუდესის კუნძულებზე მომავალი მოლაპარაკების“ (მარტის მეორე ნახევარში განზრახული მაკმილანისა და ლოიდის მოლაპარაკება ეიზენჰაუერთან და დალესთან. — რედ.) მიხედვით.

კომუნიკეს თანახმად, პარიზში განიხილეს სამხედრო პრობლემები, რომლებიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს შეამციროს ინგლისის შეიარაღებული ძალების რიცხვი დასავლეთ გერმანიაში; საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის კონტინენტის ექვსი ქვეყნის „საერთო ბაზრის“ (საბაჟო კავშირის) შექმნის პროექტთან და ევროპაში „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის ინგლისურ გეგმასთან; ახლო აღმოსავლეთისა და სუეცის არხის პრობლემები.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გი მოლეტ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის „გრძელდება გულითადი თანხმობა“. მაგრამ, ზოგიერთი მიმოხილველის აზრით, ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგები წინაღმდეგს მოწმობენ: მოლაპარაკების მონაწილეთა შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა არ მისცა მათ საშუალება მიეღოთ კონკრეტული გადაწყვეტილება რომელიმე ზემოხსენებულ ძირითად საკითხზე. გაზეთ „ლუმანიტე დიმანშის“ შეფასებით, ინგლისელ და ფრანგ ხელმძღვანელთა შეხვედრებმა გამოავლინა „გულითადი უთანხმოება ძირითად საკითხებზე, რომლებიც განხილულ იქნა მოლაპარაკების მსვლელობაში“.

ლონდონი, 10 მარტი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა მოლაპარაკებას ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, გაზეთ „ობსერვერის“ პარიზელი კორესპონდენტი აღნიშნავს უთანხმოებას, რომელიც გამოვლინდა მოლაპარაკების მონაწილეებს შორის ახლო აღმოსავლეთის პრობლემების განხილვისას. შემდეგ „ობსერვერი“ წერს, რომ მოლაპარაკების დროს ფრანგები ილაშქრებდნენ ინგლისის განზრახვის წინააღმდეგ შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი დასავლეთ გერმანიაში. ეხება რა ინგლისის გადაწყვეტილებას, გადადოს თავისი განზრახვის შესრულება „სულ ცოტა 6 თვით“, რაც მიღებულ იქნა ნატოს სარდლობის ზეგავლენით, კორესპონდენტი შენიშნავს: „ეს სუსტი ნუგეშია ფრანგებისათვის“.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის

ჰელსინკი, 9 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტის ფინეთის ნაწილის მდივანმა ვ. კაუკონენმა გაზეთ „უუსი სუომის“ აცნობა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე ფინეთში დღემდე იყო 86 საბჭოთა მეცნიერი და სპეციალისტი, რომლებიც ფინეთში დარჩნენ ერთი კვირიდან ორ თვემდე. საბჭოთა კავშირში იყო 147 ფინელი მეცნიერი და სპეციალისტი. საბჭოთა და ფინელი მეცნიერები და სპეციალისტები წარმოადგენდნენ მრეწველობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს.

ვარაზისხევში

ვისაც ჯერ კიდევ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ ვარაზისხევში გაუვლია, ეხსომება გორაკებით შეზღუდული ღრმა ხევი ერთადერთი ვიწრო, ძნელად გასავლელი საცალფეხო ბილიკით.

გაიხედეთ ახლა გმირთა მოედნიდან უნივერსიტეტისაკენ. როგორ შეიცვალა ამ ხევმა სახე! სწორი, ფართო და გმირთა მოედანთან ოდნავ დაქანებული ქუჩა გაიშლება ჩვენს თვალწინ. დიდი შრომის გაწევა დასჭირდათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო სამმართველოს მუშებს, ინჟინრებს ამ ქუჩის გასაკეთებლად. გასული წლის ივნვარში დაიწყეს აქ სამუშაოები. მდინარე ვერას მზის სინათლე აღარ აჩვენეს და ფართო კოლექტორში გაუშვეს. მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდნენ ექსკავატორები, ბულდოზერები, მიწით ივსებოდა ხევი.

ზამთრის პირობებში, წვიმაში, თოვლში სამუშაოები კვლავ ჩქარი ტემპით წარმოებდა. გასწორდა ხევის ზედაპირი, მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან დაიწყო გრანტის ძელაკების დაგება 24 მეტრი სიგანის ქუჩის სავალ ნაწილზე. ამჟამად უკვე 3.000-ზე მეტი კვადრატული მეტრია მოკირწყლული. მიმდინარეობს ქუჩის დანარჩენი ნაწილის მოკირწყვლა. პარალელურად მრავალი სამუშაო წარმოებს. კეთდება კიბე, რომლითაც სტუდენტები პირდაპირ ვარაზისხევიდან უმოკლესი გზით ავლენ უნივერსიტეტის ეზოში. უფრო ქვემოთ საყრდენი კედლის სამუშაოებია დაწყებული. მოპირდაპირე ფერდობზე მრავალწლოვან კვიპაროსებს რგავენ, ტუიის ბორდიურებს აკეთებენ. ქუჩის ბოლოს ნაწილის თოლქვის შუა ადგილას, რომელიც ოდნავ შეწეულია, ბულდოზერი მუშაობს, მიწას ამოირჩევს | მუსანარგაკეთებლად და გასაფანტად. ზოგ ადგილას კი მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები. უფრო დაბლა, გმირთა მოედანთან, ლენინის ქუჩის მხარეს მიწას ასწორებენ. ამ ადგილას პატარა სკვერი უნდა გაკეთდეს. ზოოპარკის მხარეს კი საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს. ქუჩის ორივე მხარეზე ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკებს საყრდენი ბოძები დაუდგამთ. მალე ტროლეიბუსის ხაზების გაყვანის სამუშაოებიც დაიწყება. აქ ავტობუსებსა და მანქანებს გარდა ავლის ტროლეიბუსიც.

ქუჩის თითქმის ყოველ სამუშაოზე შეხვდებით საშუალო ტანის, მზისგან გარუჯულ ახალგაზრდას, რომელიც თავს დასტრიალებს მუშებს, ეხმარება მათ.

— როდისთვის უნდა დაამთავროთ ყველა სამუშაო? — ვეკითხებით მას.

— 1 მაისისათვის! — ამბობს სამუშაოთა მწარმოებელი ო. გოგიაშვილი.

მანვე ჩამოგვითვალა ის მოწინავე მუშები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 165-170 პროცენტით ასრულებენ. ესენია ბულდოზერზე მომუშავე კ. ჩერტკოვი, ბრიგადირი ა. ბალოიანი, მუშები ვ. მიზილინი, მ. კარაპეტიანი, ა. მერაბიშვილი, ო. ოხანაშვილი, ი. ლეკიშვილი და სხვები.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: გამწვანების სამუშაოები ვარაზისხევში. მუშა ს. ავეტისიანი რგავს ტუიას.

თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების დასახმარებლად

საქართველოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალისათვის მზადებასთან დაკავშირებით ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების დასახმარებლად გამოსცა თარგმნილი პიესების კრებული. კრებულში შევიდა ი. ევალდის პიესა „გლებ რაგოზინის საქმე“, ი. ნახაროვის — „დედისერთა“, ბ. ლასკინის — „ორი ამხანაგი“ და „აღზრდის საკითხი“, მ. ტალვესტის — „ოჯახური საკითხები“ და ა. მარიენგოფის — „დედა“. გამოიცა აგრეთვე ა. თათარაძის — „ცეკვა ქართული“ და მ. შუბაშიკელის — „ორი მოხეული ცეკვა“.

უკვე მზად არის საესტრადო კრებულის I და II ნომერი, რომლებშიც შევა პიესები, სკეტჩები, ინტერლუდიები, კონფერანსი, სიმღერები, ცეკვები, ლექსები მხატვრული კითხვისათვის.

ახლახან სახელგამს დასაბეჭდად გადაეცა 60 ქართული სიმღერა, რომელთაგან ბევრია ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოები, აგრეთვე ხალხური სიმღერების ჩანაწერები.

ფესტივალისათვის მზადებასთან დაკავშირებით ხალხური შემოქმედების სახლი ქართულ ენაზე დასაბეჭდად ამზადებს კრებულს „მეგობრების სიმღერები“, რომელშიც შევა რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული, ბელორუსული, უნგრული, ჩეხური, ინდური, ირგენტინული, ვიეტნამური და მსოფლიოს სხვა ქვეყნების პოპულარული სიმღერები.

მ. ბოტვინნიკი — ვ. სმისლოვი

მოსკოვი. 11 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გრძელდება შეჯიბრება ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინნიკსა და ამ წოდების პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ გროსმაისტერ ვ. სმისლოვს შორის.

9 მარტს გათამაშდა მესამე ტური. თეთრებით თამაშობდა გროსმაისტერი ბოტვინნიკი. პარტია გადაიდო. მეორე დღეს, 10 მარტს გადადებული პარტია არ გათამაშებულა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

საქართველოს 1957 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში დასასრულს უახლოვდება. მალე შეჯამებულ იქნება ბრძოლის შედეგი, გამოვლინდება ჩვენი რესპუბლიკის ახალი ჩემპიონი.

9-15 ტურში შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა კიკინამ დამარცხება განიცადა. მას მოუგო ოსტატობის კანდიდატმა ბლაგიძემ. სირთულესად მიმდინარეობდა ოსტატ ბუსლაევისა და ლომაიას პარტია. ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე გამრეკელი და არნშტეინი. დემურიამ მოუგო თხელიძეს, ბერაძემ — იზოზნიკოვს, მორჩილაძემ — კალატოზიშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ წინ არის ლომაია, რომელსაც 11 ქულა აქვს. ბუსლაევსა და კიკინას ათ-ათი ქულა აქვთ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სად შეიძლება თბილისის ტელეგადაცემათა მიღება

როგორ იღებენ სატელევიზიო გადაცემებს თბილისის ფარგლებს გარეთ? ეს საკითხი დიდად აინტერესებს რესპუბლიკის რაიონული ცენტრებისა და სოფლების ბევრ მცხოვრებს.

ამის შესამოწმებლად თბილისის სატელევიზიო ატელიეს მუშაკებმა ტელევიზორები დადგეს და მიღების ხარისხი შეამოწმეს 35 დასახლებულ პუნქტში.

საქართველოს რთული რელიეფი და თბილისის ტელეცენტრის გადამცემი ანტენის სიმაღლე განაპირობებენ იმ ულტრამოკლე ტალღების გავრცელების თავისებურებებს, რომლებითაც ხდება სატელევიზიო სიგნალების გადაცემა.

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მიღების კარგი ხარისხი სოფელ უვარელში თბილისიდან 100 კილომეტრის დაშორებით ისეთ მთებს იქით, რომელთა სიმაღლე 1.900 მეტრს აღწევს. გამოსახულება და სუფთა ხმა მიღებულ იქნა ტელევიზორის მოუმართავად ანტენით, რომელიც მოწყობილი იყო ერთ-ერთი შენობის მეორე სართულის ოთახში.

ასევე კარგად იღებენ ტელეგადაცემებს ლაგოდეხის რაიონულ ცენტრში, მაგრამ იქ აუცილებელია ანტენები აღმართული იყოს სახურავების ზემოთ 3-8 მეტრ სიმაღლეზე.

ტელეგადაცემებს სისტემატურად უყურებენ წითელწყაროს რაიონულ ცენტრში — საარჩევნო უბანში (თბილისიდან 115 კილომეტრ მანძილზე), მაგრამ გამოსახულება იქ უფრო მკრთალია, ვიდრე ლაგოდეხში.

კიდევ უფრო მკრთალი აღმოჩნდა მიღება ქალაქ სიღნაღში, რომელიც შედარებით უფრო ახლოა თბილისთან (98 კილომეტრი) და ამასთან უფრო მაღლაც მდებარეობს (600 მეტრზე ზღვის დონიდან).

სიღნაღში ტელეგადაცემათა მისაღებად ანტენა დადგმულია ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე, მაღლამ ადგილას. ქალაქის სხვა ადგილებში აუცილებელი ხდება ანტენების დადგმა 20 მეტრ და კიდევ მეტ სიმაღლეზე.

ქალაქ გურჯაანში დამაკმაყოფილებელ მიღებას მიაღწია ამხ. რამაზოვმა მას შემდეგ, რაც მოაწყო რთული ორსართულიანი ანტენა, რომელიც დადგმულია 50 მეტრის დაშორებით მდინარის მაღალ ნაპირზე. ქალაქ გურჯაანის სხვა ადგილებში ტელეგადაცემათა მიღება არ მოხერხდა. მდინარის ხეობა ტელეცენტრის სიგნალებს მხოლოდ ვიწრო სხივად უშვებს. კავშირგაბმულობის კანტორის შენობის მახლობლად 10 მეტრი სიმაღლის ანტენაზე ძლიერად მიღება ხმა, მაგრამ ძალიან დიდი დამახინჯებით, გამოსახულება კი მიღებულ იქნა მხოლოდ დღის 2 საათზე ძალიან ცუდად.

ასეთივე არასახიამოვნო ეკრანირება მივიღეთ ქალაქ თელავში, სადაც ტელევიზიის მიღების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სარეტრანსლაციო სადგურის აგება.

კაპრეთი და საგარეჯო მნიშვნელოვნად უფრო ახლო მდებარეობენ თბილისთან და იქ ტელევიზიის მიღება ზოგიერთ სახლში თვით ოთახის ანტენებითაც შეიძლება.

თბილისის ტელეცენტრის გადაცემათა გავრცელება სხვა მიმართულებებით უარესია მაღლობების სიახლოვის გამო.

ჩრდილოეთის მიმართულებით 20 კილომეტრ მანძილზე საგურამოს მთა აძნელებს მიღებას დუშეთში. მაგრამ 8 მეტრი სიმაღლის ანტენით იქ კულტურის სახლში მიიღეს კარგი შედეგი — გამოსახულების ნორმალური კონტრასტულობა და მკაფიობა.

მიუხედავად მაღალი მთებისა მცხეთის მახლობლად, სოფელ მუხრანში — თბილისიდან 30 კილომეტრზე — მაღალი მიღებარეობის მეოხებით აღნიშნულია ძალიან კარგი მიღება — ტელევიზორს შეუძლია მუშაობა ოთახის ანტენითაც. ხოლო თვით მცხეთაში (18 კილომეტრი) ხეობაში მდინარე მტკვრის ხიდის მახლობლად მიღება თითქმის შეუძლებელია. მხოლოდ მაღალი და მახვილად წარმართული ხუთელემენტიანი ანტენის გამოყენებით შეიძლება შესაძლებელ იქნას მთების მრავალი ანარეკლი და მიღებულ იქნას დამაკმაყოფილებელი გამოსახულება.

ასევე გაძნელებულია მიღება კასპში, მეტეხში, ხიდისთავსა და გორში. რაც უფრო შორს არის მოთავსებული ტელევიზორი მტკვრის სამხრეთის მაღალი ნაპირიდან, მით უფრო ძლიერად გადის ტელეცენტრის სიგნალები. სოფელ ქვემო ჭალაში და გორის საფეიქრო კომბინატის რაიონში მიღება სავსებით დამაკმაყოფილებელია.

90 კილომეტრ მანძილზე ქალაქ სტალინირში რადიოტექნიკუმსა ამხ. ოვანოვმა თბილისის გადაცემები მიიღო 12 მეტრი სიმაღლის ანტენით. კარგად აწყობილ „რეკორდის“ სისტემის მგრძნობიარე ტელევიზორით მაღაზიაში 10 მეტრი სიმაღლის ანტენით მიღებულია სავსებით დამაკმაყოფილებელი გამოსახულება.

თბილისიდან სამხრეთის მიმართულებით ძლიერ დასერილი ადგილმდებარეობა ქმნის მიღების სხვადასხვა პირობებს თვითეული სოფლისათვის. მარნეულსა და შულავერში მიღება დამაკმაყოფილებელია, ხოლო გიორგარხში სუსტია. ზოგიერთ ადგილას მაღალი და რთული ანტენებიც ვერ უზრუნველყოფენ დამაკმაყოფილებელ ხარისხს, მიუხედავად მცირე მანძილისა — 40 კილომეტრამდე.

მარტყოფიდან თბილისის ტელეცენტრი დღისით 13-დან 16 საათამდე რეგულარულად გადასცემს საკონტროლო ცხრილს. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ გამოვიყენოთ რადიოკავშირების რაიონული მუშაკები თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ დასახლებულ პუნქტში სატელევიზიო გადაცემათა მიღების შესაძლებლობის შესამოწმებლად, მოვაწყოთ მაღალი და მგრძნობიარე ანტენები, შევქმნათ მიმღები ანტენების კოლექტიური სისტემები და დავაზუსტოთ, სად იქნება საჭირო სარეტრანსლაციო სადგურების დადგმა.

გ. სარაჯევი,
სატელევიზიო ატელიეს მთავარი ინჟინერი.

ტელეგადაცემათა პროგრამა 12 მარტისათვის

20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 2, 21.10 — ახალი მხატვრული ფილმი „პროლოგი“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. სეისმოლოგიისა და სეისმოძიების განყოფილების გამგე — 1, 2. გრავიმეტრიისა და გრავიმოძიების განყოფილების გამგე — 1, 3. ატმოსფეროს ფიზიკის განყოფილების გამგე — 1, 4. რეგიონალური სეისმოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1, 5. სეისმომეტრიული ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1, 6. რადიომეტრიული ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1, 7. სეისმოძიების სპეციალობაში უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2.

განცხადებები და საჭირო საბუთები ორ-ორ ცალად მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი, 15, სამხედრო ქალაქი, 26). კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დაიწყო ხელმოწერა ახალ ჟურნალებზე:

1. „История СССР“

— ჟურნალი გამოაქვეყნებს მასალებს სსრკ ისტორიის ყველა პერიოდზე, გაშუქებს საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მოთავსებს სსრკ ისტორიის შრომების რეცენზიებს.

2. „Новая и новейшая история“

— ჟურნალი მოწოდებულია გაშუქოს უცხო ქვეყნების ისტორიის საკითხები, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობა.

3. „Жизнь глухих“

— ყრუ-მუნჯთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური მმართველობის ჟურნალი.

„სოიუზპეჩატი“.

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან
გიორგი ალექსანდრეს-ძე ამერიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12-III, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 147.

შვილები ქეთევან, ვახტანგ, ბორის ლეკავები, რძლები თამარ მესხელი, ანა როდკოვა ოჯახებით იუწყებიან
სოფიო ლევანის ასულ ლეკავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-III, 8 ს. გამოსვენება 14-III, 5 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 46.

შვილი ავთანდილ, რძალი ქეთო ბექაია, ტაიზა, ლალი ავალიანები, ძმები ბოსებ, ბორის დავითაშვილები ოჯახებით იუწყებიან
მარიამ ლუკას ასულ ავალიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-III, 8 ს. გამოსვენება 14-III, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 29.

მეუღლე დარიკო, შვილები ციცუ, მარო, ანა, არტემ, ალექსანდრე, ვიქტორ, სიძე ე. ჯიჯალავა, რძლები ალისტინა, ალექსანდრა, ზინა შვილებით იუწყებიან
ვლადიმერ უთოს-ძე კაკულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-III, 4 ს. ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 7.

დედა ნატალია, მეუღლე ალექსანდრა, შვილები ოთარ, ნათელა, სიძე გ. ხუნდაძე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
რომან სოფრონის-ძე ფიცხელაურის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-III, 8 ს. გამოსვენება 14-III